თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალექციო კურსის სასწავლო გეგმა

სასწავლო წელი

**2011-2012**

**სასწავლო კურსის სახელწოდება: რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში**

**სასწავლო კურსის კოდი: H.2.D.30**

**ლექტორი _ ასოცირებული პროფესორი თენგიზ სიმაშვილი**

**ტელეფონები:** 897 051551; ელ.ფოსტა: tengris@yahoo.com

**საკონსულტაციო დრო _** ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 10-დან 14 საათამდე მსოფლიო ისტორიის კათედრაზე

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი) ECTS კრედიტი. ხანგრძლივობა: 15 კვირა – 125 საათი. ა) საუდიტორიაო – 45 სთ. (ლექცია – 30, პრაქტიკული – 15); ბ) დამოუკიდებელი – 80. კვირაში ჩატარდება 3 საუდიტორიო შეხვედრა.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტების დამატებით სპეციალობაზე ,,კულტუროლოგია“ VIII სემესტრში

**სალექციო კურსის მიზანია:**

შეასწავლოს სტუდენტებს:

- სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა კულტურების და რელიგიების ურთიერთქმედება
- რელიგიის როლი თანამედროვე სამხრეთ კავკასიის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში **სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა _** არ აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:** სტუდენტებს ეცოდინებათ სასაზღვრო კულტურების პრობლემა ცივილიზაციების შეხების ადგილებში კავკასიასთან მიმართებაში; სასაზღვრო კულტურათა მახასიათებლები საქართველოს კულტურული და ცივილიზაციური ორიენტაცია; თანამედროვე რადიკალური ისლამური და ქრისტიანული მიმდინარეობები სამხრეთ კავკასიაში.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის რელიგიისა და კულტურის მიმართებების არსი სამხრეთ კავკასიაში და მათი ასპექტების რაობა; იცნობს მათ შესახებ არსებულ ძირითად კონცეფციებს. | აქვს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა რელიგიისა და კულტურის მიმართებების შესახებ სამხრეთ კავკასიაში; დაუფლებულია სამხრეთ კავკასიაში რელიგიისა და კულტურის მიმართებების შესახებ არსებული თემატიკის და პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია რელიგიისა და კულტურის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი; შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია რელიგიისა და კულტურის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალიწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა. | გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემოქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები. |
| სწავლის უნარი | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს სწავლის შეძენის უნარი და შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საფეხურზე; შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა. | ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| ღირებულებები | იცნობს რელიგიისა და კულტურის დამახასიათებელ ღირებულებებს | იხილავს და აანალიზებს რელიგიისა და კულტურის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს; შეუძლია რელიგიისა და კულტურის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიერთა აზრს. |

## სალექციო კურსის სტრუქტურა

**I კვირა**

ლექცია #1 _ შესავალი. კავკასიის გეოგრაფიული გარემო და მოსახლეობა(2სთ)

სემინარი #1 (1სთ)

კავკასიის ხალხთა გეოგრაფიული განსახლება და ენობრივი ჯგუფები.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გვ.4-6

დამატებითი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2001). კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება, კონფლიქტოლოგიის საკითხები #3 თბილისი

ანჩაბაძე, ზ. (1978). ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტომი I თბილისი: მეცნიერება

ანჩაბაძე, ზ. (1978). ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტომი II თბილისი: მეცნიერება

**II კვირა**

ლექცია #2 _ რელიგიები და ეთნოსები სამხრეთ კავკასიაში(2სთ)

სემინარი #2 (1სთ)

ეთნიკური ჯგუფების განსახლების სტატისტიკა საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში. ქრისტიანობის და ისლამის გავრცელების არეალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გვ.7-17

დამატებითი ლიტერატურა:

წიქვაძე, რ., (1998) ისლამი (რელიგია: წარსული და თანამედროვეობა) თბილისი: კანდელი

ნაროდიშვილი, მ., გოგელია, ვ., გლურჯიძე, ე. (2004) რელიგიის თავისუფლება. თბილისი

**III კვირა**

ლექცია #3 _ ძირითადი კონფესიები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მათი ისტორიულ და ტერიტორიულ-ეთნიკური ლოკალიზაცია (2სთ)

სემინარი #3 (1სთ)

მართლმადიდებლები, კათოლიკეები, სუნიტები, შიიტები. ბაპტიზმი. სექტანტები XIX საუკუნის კავკასიაში. კავკასიური ისლამის ფენომენი.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ.17-23

დამატებითი ლიტერატურა:

ანჩაბაძე, ზ. (1978) ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თბილისი: მეცნიერება

სონღულაშვილი, ა. (2007) რელიგიური სექტების ისტორიიდან საქართველოში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები # 1. თბილისი

**IV კვირა**

ლექცია #4 _ კავკასიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად დაყოფის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული საფუძვლები(2სთ)

სემინარი #4 (1სთ)

კავკასია და ამიერკავკასია, კავკასიის პირობითი დაყოფის რუსული ხედვა. დასავლური სახელმწიფოების ხედვა კავკასიის პირობით დაყოფაზე.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ.24-27

დამატებითი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2001) კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება, კონფლიქტოლოგიის საკითხები #3, თბილისი

**თემა**

**კულტურათა და ცივილიზაციათა კონტაქტი კავკასიაში**

**V კვირა**

ლექცია #5 _ კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა სამუშაო დეფინიციები მოცემული კურსის ფარგლებში(2სთ)

სემინარი #5 (1სთ)

კულტურის ცნება. ცივილიზაციის ცნების განმარტება. ,,ცივილიზაცია~ როგორც დომინირებადი კულტურულ-ისტორიული კატეგორია.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი, გვ.27-31

დამატებითი ლიტერატურა:

წერეთელი, ი. კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი

ფუკუიამა, ფ. (1999). ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი

**VI კვირა**

ლექცია #6 _ კავკასია კულტურათა და ცივილიზაციათა კონტაქტის გზაჯვარედინი(2სთ)

სემინარი #6 (1სთ)

კავკასია როგორც დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. სასაზღვრო კულტურების პრობლემა ცივილიზაციების შეხების ადგილებში კავკასიასთან მიმართებაში. სასაზღვრო კულტურათა მახასიათებლები.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ.31-38

დამატებითი ლიტერატურა:

წერეთელი, ი. კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი

სიმაშვილი, თ. (2008). კავკასია და კონფლიქტები _ ს. ჰანთინგტონის ,,ცივილიზაციათა შეჯახების~ კონტექსტში, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, #1(23) თელავი

**VII კვირა**

ლექცია #7 _ კულტურათა კონტაქტის ტიპები(2სთ)

სემინარი #7 (1სთ)

ცივილიზაციათაშორისო ურთიერთობის ტიპები. ,,ბირთვი-პერიფერიის~ ცნებები და კავკასია.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ.38-42

დამატებითი ლიტერატურა:

წერეთელი, ი. კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი

**VIII კვირა**

ლექცია #8 _ ერთიანი კულტურული სივრცის ცნება და მისი მიმართება სამხრეთ კავკასიასთან (2სთ)

სემინარი #8 (1სთ)

კავკასიის კულტურები თუ ერთიანი კავკასიური კულტურა. ერთიანი კულტურული სივრცის ცნება. საერთო-კავკასიური იდენტობის პრობლემა.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ.42-48

დამატებითი ლიტერატურა:

წერეთელი, ი. კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი

**IX კვირა**

ლექცია #9 _ კავკასიის გაერთიანების მცდელობები XI-XX საუკუნეებში.(2სთ)

სემინარი #9 (1სთ)

საქართველო XI-XII საუკუნეებში და ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა კავკასიის მოსხლეობის გაერთიანებასთან მიმართებაში. რუსეთის ახელმწიფო და კავკასიის დაპყრობა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა კავკასიათან მიმართებაში.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ. 48-52

დამატებითი ლიტერატურა:

ამბროსი ხელაია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, (2005). თბილისი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრი

**X კვირა**

ლექცია #10 _ ,,ერთიანი კავკასიური სახლის~ იდეა და მისის რეალიზაციის მცდელობები XX საუკუნის 90-იან წლებში(2სთ)

სემინარი #10 (1სთ)

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციიის შექმნა. ჩეჩნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი ურთიერთობა საქართველოსთან. ერთიან კავკასიურ ცივილიზაციად კავკასიის ქცევის მცდელობა.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ. 52-57

დამატებითი ლიტერატურა:

სიმაშვილი, თ. (2008). კავკასია და კონფლიქტები _ ს. ჰანთინგტონის ,,ცივილიზაციათა შეჯახების~ კონტექსტში. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული; #1(23) თელავი

**თემა**

**კონფლიქტების საფუძვლები კავკასიაში**

**XI კვირა**

ლექცია #11 _ ცივილიზაციათა კონფლიქტის პროგნოზი და მისი რელიგიური საფუძვლები. სამხრეთ კავკასია ამ პროგნოზის პროზმაში.(2სთ)

სემინარი #11 (1სთ)

ფუკუიამა _ ,,ისტორიის დასასრული თუ უკანასკნელი ადამიანი~. ჰანთინგტონი _ ,,ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის შეცვლა~ ცივილიზაციათა გამყოფი მიჯნები და შეხების ადგილები, როგორც კონფლიქტების კერები.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ. 57-66

დამატებითი ლიტერატურა:

წერეთელი, ი. კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი

ფუკუიამა, ფ. (1999). ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი

**XII კვირა**

ლექცია #12 _ ქართველთა კულტურული იდენტურობის პრობლემა: ისტორიული ჭრილი(2სთ)

სემინარი #12 (1სთ).

უძველესი პერიოდის ქართული კულტურა. ქართული კულტურა როგორც ქრისტიანული(დასავლური ცივილიზაციის განაპირა კულტურა. ქართული კულტურის პერიოდიზაცია.

ძირთადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ. 66-71

დამატებითი ლიტერატურა:

დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია თბილისი

**XIII კვირა**

ლექცია #13 კულტურული და რალიგიური იდენტურობის პრობლემათა აქტუალიზაცია პოსტსაბჭოთა ხანაში. ეთნიკურობისა და რელიგიურობის იდეოლოგიზაცია და პოლიტიზაცია.(2სთ)

სემინარი #13 (1სთ)

საქართველოს კულტურული და ცივილიზაციური ორიენტაცია. კულტურული და ცივილიზ-ციური იდენტობის საკითხების აქტუალობა თანამედროვე ეტაპზე.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი  გვ. 71-84

დამატებითი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2001). კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება, კონფლიქტოლოგიის საკითხები #3 თბილისი

წერეთელი, ი. კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია. თბილისი

**XIV კვირა**

ლექცია #14 _ თანამედროვე რადიკალური ისლამური და ქრისტიანული მიმდინარეობები სამხრეთ კავკასიაში. (2სთ)

სემინარი #14 (1სთ)

ვაჰაბიზმი კავკასიაში XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში. ,,იეღოვას მოწმეები~. რადიკალური ქრისტიანული და ისლამური მიმდინარეობების გავრცელების არეალი.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი  გვ. 22-24

დამატებითი ლიტერატურა:

სიმაშვილი, თ. (2007) საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ,,ალ-ქაიდა~ თბილისი

სიმაშვილი, თ. (2007). რადიკალური ისლამური მიმდინარეობა ვაჰაბიზმი და საქართველო ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები~ #2. თბილისი

სიმაშვილი, თ. (2006). ისლამური რადიკალური მიმდინარეობები კავკასიაში და საქართველოში ,,ინტელექტი~ #4(27). თბილისი

ალდამიძე, თ. (2001). მეხუთე კოლონა საქართველოში. თელავი

**XV კვირა**

ლექცია #15 _ რელიგიის ფაქტორი კავკასიის თანამედროვე კონფლიქტებში(2სთ)

სემინარი #15 (1სთ).

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები. რუსეთის როლი კონფლიქტების პროვოცირებაში. მთიანი ყარაბაღის პრობლემა. კონფლიქტების რელიგიური საფუძვლები. ეთნიკური დაპირისპირებების როლი ამ კონფლიქტებში.

ძირითადი ლიტერატურა:

ჩიქოვანი, ნ. (2006) რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი გვ. 84-107

დამატებითი ლიტერატურა:

სიმაშვილი, თ. (2008). კავკასია და კონფლიქტები _ ს. ჰანთინგტონის ,,ცივილიზაციათა შეჯახების~ კონტექსტში. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული; #1(23) თელავი

სიმაშვილი, თ. (2007). რადიკალური ისლამური მიმდინარეობა ვაჰაბიზმი და საქართველო. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები~ #2. თბილისი

სიმაშვილი, თ. (2006). ისლამური რადიკალური მიმდინარეობები კავკასიაში და საქართველოში. ,,ინტელექტი~ #4(27). თბილისი

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ

კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

. 91-100 ქულა : A (ფრიადი)

. 81-90 ქულა: B (ძალიან კარგი)

. 71-80 ქულა: C (კარგი)

. 61-70 ქულა: D (დამაკმაყოფილებელი)

. 51-60 ქულა: E (საკმარისი)

არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:

. 41-50 ქულა: FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კრედიტის მისაღებად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადში დამატებითი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ

შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება შეფასების სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

. 40 და ნაკლები ქულა - F (ჩაიჭრა). ამ შემთხვევაში სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება სგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

სწავლა ინტერაქტიული პროცესია, რომელიც მოიცავს დისკუსიებს ჩემთან, თანაკურსელებთან, მაგრამ საბოლოო ჯამში თქვენ უნდა იმუშაოთ თქვენი იდეების ჩამოყალიბებაზე. მე თუ აღმოვაჩენ, რომ თქვენს ნაშრომებში გამოიყენეთ თანაკურსელის ნაშრომის ნაწყვეტები, ან პირდაპირ გადაწერეთ საკითხები ყოველგვარი გააზრების გარეშე, ანუ მოახდინეთ პლაგიატი მითითებული ლიტერატურიდან, არ დაგიწერთ ქულებს.

სამაგიეროდ, ყველანაირად წავახალისებ დამოუკიდებელ აზროვნებას, შემოქმედებითი მიდგომას, ორიგინალურ იდეებს, თუნდაც ეწინააღმდეგებოდეს აღნიშნული საკითხის ჩემეულ ხედვას.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. ჩიქოვანი, ნ. (2006). რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

2. სიმაშვილი, თ. (2007) საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ,,ალ-ქაიდა“, თბილისი

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ჩიქოვანი, ნ. (2001) კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება, კონფლიქტოლოგიის საკითხები #,3 თბილისი

2. წერეთელი, ი. (2006) კაკიტელაშვილი ქ. კულტურა და მოდერნიზაცია, თბილისი

3. მაცაბერიძე, მ. (2004) კონფლიქტოლოგიის საკითხები, #3, თბილისი

4. დავითაშვილი, ზ. (2003) ნაციონალიზმი და გლობალიზაცი,ა თბილისი

5. სიმაშვილი, თ. (2008) ,,კავკასია და კონფლიქტები _ ს. ჰანთინგტონის ,,ცივილიზაციათა შეჯახების კონტექსტში’’, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, #1(23), თელავი
6. წიქვაძე, რ., (1998). ისლამი (რელიგია: წარსული და თანამედროვეობა), თბილისი: კანდელი
7. ნაროდიშვილი, მ., გოგელია, ვ., გლურჯიძე, ე. (2004) რელიგიის თავისუფლება. თბილისი
8. ფუკუიამა, ფ. (1999). ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბილისი
9. სონღულაშვილი, ა. (2007) რელიგიური სექტების ისტორიიდან საქართველოში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები # 1. თბილისი
10. ამბროსი ხელაია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, (2005). თბილისი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრი